საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-868

ქ. თბილისი

12/09/2019

ქალაქ ბათუმში, შპს ,,ბეთლემი 2011''-ის ცემენტის წარმოების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქალაქ ბათუმში, აკაკი შანიძის ქ. N14ა-ში შპს ,,ბეთლემი 2011''-ის ცემენტის წარმოების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N93 (04.09.2019წ.);
2. შპს ,,ბეთლემი 2011''-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N93 (04.09.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ბეთლემი 2011''-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ბეთლემი 2011''-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მერიის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი